მინდვრის მშრომელთა დიდი გამარჯვება

სამშობლოს გელლებში შენახულია 12 მილიონ 240 ათასი ფუთი მარცვალი, აქედან ხორბალი—4 მილიონ 300 ათასი ფუთი



ხორბლისა და სიმინდის უხვი მოსავლის მიღებით ბევრმა მემინდვრემ ისახელა თავი. მინდვრის მშრომელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს სიღნაღელმა მექანიზატორმა ივანე ბაიდოშვილმა, ზუგდიდელებმა კოტე სანდუხაძემ და კოსტა ჯოჯუამ, მახარაძელმა სოლომონ ქარჩავამ, გურჯაანელმა ზაქარია არჩევნიშვილმა და ბევრმა სხვამ.
სურათებზე: (მარცხნიდან) ი. გაიდოშვილი, ს. ქარჩავა, ზ. არჩევნიშვილი, კ. ჯოჯუა და კ. სანდუხაძე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქართველოს სსრ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ, პროფკავშირულ მუშაკებსა და ყველა მშრომელს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ საქართველოს სსრ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, საწარმოო სამმართველოთა, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშაკებს, ყველა მშრომელს შრომითს წარმატებას — სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმის შესრულებას.

საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სამშობლოს ბეღლებში შეინახეს 12 მილიონ 240 ათასი ფუთი მარცვალი, აქედან ძირითადი სასურსათო კულტურა — ხორბალი სახელმწიფოს მიეყიდა 4 მილიონ 300 ათასი ფუთი, ანუ 1,3 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე გათვალისწინებულია ამ კულტურის შესყიდვის გეგმით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელები ახალ წარმატებებს მოიპოვებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

საქართველოს კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, ყველა მშრომელი მოხარული არიან მოახსენონ სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობასა და პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, რომ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, ახორციელებენ რა პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმა. სამშობლოს ბეღლებში შენახულია 12 მილიონ 240 ათასი ფუთი მარცვალი, ანუ გეგმის 100,3 პროცენტი. რესპუბლიკას ჯერ არასოდეს არ დაუმზადებია ამდენი პური.

მარცვლის წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სიღნაღის, გორის, გარდაბნის, თეთრი წყაროს, ხაშურის, ახალციხის, დუშეთისა და მთელი რიგი სხვა საწარმოო სამმართველოების, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, ჩვენი რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ხელმძღვანელობენ თქვენი მითითებებით შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მარცვლის წარმოების გადიდების შესახებ ტექნიკური კულტურებისათვის ზიანის მიუყენებლად, და ახორციელებენ მარცვლეულის მეურნეობის ყოველმხრივი განვითარების ღონისძიებებს. ჩაის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, დაფნის, თამბაქოსა და სხვა კულტურების წარმოების შემდგომ გადიდებასთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშავეს სარწყავი მიწების გონივრულად გამოყენებისა და მინერალური სასუქების შეტანის საფუძველზე მარცვლის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდების კონკრეტული ღონისძიებანი.

ამჟამად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყველა მუშაკის ღონისძიება ხმარდება იმას, რომ კარგად მოაწყონ საზოგადოებრივი პირუტყვის გამოზამთრება და მოემზადონ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ 1964 წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომლებიც მჭიდროდ არიან შეკავშირებული სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ, რათა უზრუნველყონ მარცვლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებო!

ახალი შრომითი გმირობით ვუპასუხოთ მშობლიური კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გულითად მოლოცვას!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 280 (12792) | კვირა, 1 დეკემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

მოსკოვს ჩამოვიდა ფინეთის პრეზიდენტი ურხო კეკონენი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მიწვევით 30 ნოემბერს არაოფიციალურ ვიზიტად მოსკოვს ჩამოვიდა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურხო კალევა კეკონენი.

ლენინგრადის ვოგზალზე მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტს შეხვდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრები ბ. პ. ბეშჩევი, ა. ა. გრომიკო და სხვები. (საკდესი).

უ. კ. კეკონენი ეწვია ნ. ს. ხრუშჩოვს

30 ნოემბერს ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურხო კალევა კეკონენი კრემლში ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

ფინეთის პრეზიდენტსა და საბჭოთა მთავრობის მეთაურს შორის გულთბილი მეგობრული საუბარი გაიმართა.

ვიზიტზე იყვნენ საბჭოთა კავშირის ელჩი ფინეთში ა. ვ. ზახაროვი, ფინეთის ელჩი საბჭოთა კავშირში იორმა ვანამო და პრეზიდენტის პირველი ადიუტანტი გენერალ-მაიორი კ. ო. ლეინონენი. (საკდესი).

უ. კ. კეკონენი ეწვია ლ. ი. ბრეჟნევს

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურხო კალევა კეკონენი, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა, 30 ნოემბერს კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს.

ლ. ი. ბრეჟნევსა და უ. კ. კეკონენს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარს დაესწრნენ საბჭოთა კავშირის ელჩი ფინეთში ა. ვ. ზახაროვი, ფინეთის ელჩი საბჭოთა კავშირში იორმა ვანამო და პრეზიდენტის პირველი ადიუტანტი გენერალ-მაიორი კ. ო. ლეინონენი. (საკდესი).

ფინეთის პრეზიდენტის პატივსაცემად

30 ნოემბერს კრემლის დიდ სახასლეში საბჭოთა მთავრობის სახელით გაიმართა საუზმე ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ურხო კალევა კეკონენის პატივსაცემად.

პრეზიდენტთან ერთად საუზმეზე იყვნენ ფინეთის ელჩი საბჭოთა კავშირში იორმა ვანამო, პირველი ადიუტანტი გენერალ-მაიორი კ. ო. ლეინონენი და ფინეთის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, ი. ვ. ანდროპოვი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის მინისტრები ა. ა. გრომიკო, რ. ი. მალინოვსკი, საბჭოთა კავშირის ელჩი ფინეთში ა. ვ. ზახაროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი და სხვები.

საუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს ფიზიკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის მუშაკებისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ბაბილოძე გიორგი იოსების-ძე — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი;
2. ელიავშვილი შალვა ვასილის-ძე — ინსტიტუტის განყოფილების უფროსი;
3. კახიძე თამარ იერანეს ასული — ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი;
4. კერესელიძე რევაზ სიმონის-ძე — ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის უფროსი;
5. კილაძე შალვა სიმონის-ძე — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი;
6. კორძაია სერგო იულონის-ძე — ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი;
7. მაჩაბელი თეიმურაზ სოლომონის-ძე — ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი;
8. მელია არჩილ სოლომონის-ძე — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტის პროორექტორი;
9. მეუნარგია გრიგოლ კაპიტონის-ძე — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა სკოლის უფროსი;
10. მღებრიშვილი გიორგი იაკობის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ინსტიტუტის ყოფილი დეკანი;
11. ნარიკაშვილი სერგო პავლეს-ძე — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ინსტიტუტის კათედრის პროფესორი;
12. ნემსაძე აბო მიხეილის-ძე — ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანი;
13. ნიკოლაიშვილი გიორგი ბათლომეს-ძე — პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტის კათედრის გამგე;
14. ნორაკიძე ვლადიმერ გიორგის-ძე — ინსტიტუტის კათედრის პროფესორი;
15. რატია ალექსანდრე ესტატეს-ძე — ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი;
16. რევია კონსტანტინე ბათლომეს-ძე — ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანი;
17. ხემაინიშვილი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე — ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის უფროსის მოადგილე;
18. ფალავანდიშვილი ალექსანდრე გიორგის-ძე — საქართველოს სსრ ფიზიკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ინსტიტუტის რექტორი;
19. ფალავანდიშვილი ლევან გიორგის-ძე — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი;
20. ჩახნაშვილი შალვა ალექსანდრეს-ძე — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტის კათედრის გამგე;
21. ცაბაძე ივანთბილ ესტატეს-ძე — ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანი;
22. წერეთელი არჩილ ნაკოლოზის-ძე — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ინსტიტუტის კათედრის გამგე;
23. ჯაფარიძე ვლადიმერ მალაქიას-ძე — ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე
ქ. თბილისი, 1963 წლის 30 ნოემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს ფიზიკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის მუშაკებისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ბაბილოძე გიორგი იოსების-ძე — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი;
2. ელიავშვილი შალვა ვასილის-ძე — ინსტიტუტის განყოფილების უფროსი;
3. კახიძე თამარ იერანეს ასული — ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი;
4. კერესელიძე რევაზ სიმონის-ძე — ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის უფროსი;
5. კილაძე შალვა სიმონის-ძე — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი;
6. კორძაია სერგო იულონის-ძე — ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი;
7. მაჩაბელი თეიმურაზ სოლომონის-ძე — ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი;
8. მელია არჩილ სოლომონის-ძე — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტის პროორექტორი;
9. მეუნარგია გრიგოლ კაპიტონის-ძე — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა სკოლის უფროსი;
10. მღებრიშვილი გიორგი იაკობის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ინსტიტუტის ყოფილი დეკანი;
11. ნარიკაშვილი სერგო პავლეს-ძე — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ინსტიტუტის კათედრის პროფესორი;
12. ნემსაძე აბო მიხეილის-ძე — ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანი;
13. ნიკოლაიშვილი გიორგი ბათლომეს-ძე — პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტის კათედრის გამგე;
14. ნორაკიძე ვლადიმერ გიორგის-ძე — ინსტიტუტის კათედრის პროფესორი;
15. რატია ალექსანდრე ესტატეს-ძე — ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი;
16. რევია კონსტანტინე ბათლომეს-ძე — ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანი;
17. ხემაინიშვილი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე — ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის უფროსის მოადგილე;
18. ფალავანდიშვილი ალექსანდრე გიორგის-ძე — საქართველოს სსრ ფიზიკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ინსტიტუტის რექტორი;
19. ფალავანდიშვილი ლევან გიორგის-ძე — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი;
20. ჩახნაშვილი შალვა ალექსანდრეს-ძე — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტის კათედრის გამგე;
21. ცაბაძე ივანთბილ ესტატეს-ძე — ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანი;
22. წერეთელი არჩილ ნაკოლოზის-ძე — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ინსტიტუტის კათედრის გამგე;
23. ჯაფარიძე ვლადიმერ მალაქიას-ძე — ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე
ქ. თბილისი, 1963 წლის 30 ნოემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს ფიზიკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის მუშაკების

დიდება თქვენს გმირულ შრომას, მარცვლეულის ფრონტის მუშაკებო!

გამარჯვებული შრომის სიხარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინიციატივა, პასუხისმგებლობა

„უფხო-1“—ოქროს ჰექტარი

მარცვლეული მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხი პირველი რიგის ამოცანაა. ეს კარგად იციან სილნაღის საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა და თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, ხალხს მისცენ რაც შეიძლება მეტი მარცვლეული და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

ჩვენი რაიონის მშრომელებმა რესპუბლიკის სოფლის უველა მშრომელს მოწოდებით მიმართეს და ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს. ჩვენ ეს დიდი პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს, მაგრამ ისიც ვიცით, რომ სიტყვას საქმე უნდა მოჰყვეს.

მიმდინარე წლის აგროტექნიკური ვადებისა და წესების დაცვით მარცვლეული კულტურები დათესილი იყო 51.793 ჰექტარი, აქედან საშემოდგომო ხორბალს ეკავა 36.183 ჰექტარი, საშემოდგომო ქერს — 6.729 ჰექტარი, სიმინდს — 8.881 ჰექტარი.

მარცვლეულის უხვი და მყარი მოსავლის მიღებისათვის გატარებულ იქნა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადახნეს ბალახნათესები, რომლის ბაზაზე დაითესა მაღალმოსავლიანი საშემოდგომო ხორბლის ჯიში „უფხო-1“, ქერი და სიმინდი. მიმდინარე წლის უხვი მოსავლისათვის ყოველ მეურნეობაში, ინსპექტორ-პარტორგანიზატორების უშუალო მონაწილეობით, ჩვენი პირობების გათვალისწინებით, შეგიმუშავეთ აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რაც მინდვრის კონკრეტულ პირობებსა და წლის თავისებურებას შეესაბამებოდა.

მაღალი მოსავლისათვის ბრძოლა გასული წლის შემოდგომიდანვე დავიწყეთ, კოლმეურნეობებმა საშემოდგომო ხვნა მთელი ფართობის 60-70 პროცენტზე ჩაატარეს ღრმად, წინასახნისანი გუთნით. იმ ნიადაგებში, რომლებიც განოყიერებას მოითხოვდნენ, ძირითადად ხვნის წინ შეტანილ იქნა მინერალური სასუქები, ხოლო სასიმინდე ნაკვეთებში ორგანული სასუქი — ნაკელი.

მიუხედავად მიმდინარე წლის ცუდი ამინდებისა, რაიონის მექანიზატორებმა კარგად მოამზადეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ყველა საჭირო ღონისძიებები დასახეს მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში აღებისათვის. მექანიზატორთა ეს გადაწყვეტილება საქმით იქნა განმტკიცებული, უდანაკარგოდ იქნა აღებული 42.912 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურები და ნაცვლად 16,5 ცენტნერისა თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მივიღეთ 20,3 ცენტნერი მარცვალი. საშემოდგომო ხორბალი აღებულია 36.183 ჰექტარზე. 16,4 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე მიღებულია 21,7 ცენტნერი მარცვალი. სიმინდი მარცვლად სრულ სიმწიფეში აღებულია 8.881 ჰექტარზე. საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 19,3 ცენტნერი მარცვალი. სულ რაიონში მარცვლეულის საერთო წარმოებამ სიმინდის ჩათვლით შეადგინა 105.180 ტონა.

მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების ბაზაზე მოსავლიანობა მკვეთრად გაადიდეს სოფელ ჯაფარიძის, გამარჯვების უდანოვის სახელობის, ზემო ქედის, ულიანოვკის ულიანოვის სახელობის კოლმეურნეობებმა, ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა“ და სხვა კოლმეურნეობებმა.

სოფელ ჯაშარიძის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ნ. ყოჩიაშვილი) 2.384 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურების ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანა 26,4 ცენტნერი მარცვალი. ზემო ქედის კოლმეურნეობამ 3.893 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ — 23 ცენტნერი, ულიანოვკის კოლმეურნეობამ 945 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ — 22,4 ცენტნერი. მარცვლეულის საერთო წარმოებაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ნ. მამაიაშვილი). ზემომაჩხაანელებმა მარცვლეული კულტურები (სიმინდის ჩათვლით) აწარმოეს 12.302 ტონა, მათ შორის თავთავიანი მარცვლეული — 9.502 ტონა.

უხვი მოსავლის მიღების საქმეში თავი ისახელეს სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის მემინდვრეობის № 3 ბრიგადამ (ბრიგადირი ა. ლეკაშვილი). ბრიგადას 126 ჰექტარზე ეთესა ხორბალი. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 40,7 ცენტნერი მარცვალი. სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადამ 145 ჰექტარი ხორბლის ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 35,2 ცენტნერი მარცვალი მოიყვანა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ მაღალი მოსავალი „უფხო-1“ ჯიშის ნათესებმა მოგვცა.

თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების პერიოდში კარგად იშრომა წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერმა ნ. ვერიოვკინმა. მან 263 ჰექტარზე აიღო მოსავალი და გალეწა 671 ტონა მარცვალი, გ. ულიბიშევმა — 315 ჰექტარზე აიღო და გალეწა 579 ტონა მარცვალი.

სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდა კომბაინერმა შალვა ძმანაშვილმა თავთავიანი კულტურების მოსავალი აიღო 296 ჰექტარზე და გალეწა 515 ტონა ხორბალი. კომბაინერმა ბივი ბრეკაშვილმა კი 279 ჰექტარზე აღებული მოსავლიდან გალეწა 550 ტონა მარცვალი.

სიმინდის მოსავლიანობის გადიდების საქმეში საამაყო მაჩვენებლები მოიპოვა სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობამ. აქ საშუალოდ ჰექტარზე მიღებული აქვთ 25 ცენტნერი მარცვალი, ძველმო ქედის კოლმეურნეობას — 25,9 ცენტნერი, ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნას“ — 23,3 ცენტნერი, ტიბაანის კოლმეურნეობას — 23 ცენტნერი მარცვალი და სხვ.

სიმინდის მოსავლის აღების კომპლექსური მექანიზაცია განახორციელეს რაიონის მეტმა წილმა კოლმეურნეობებმა. სოფელ წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერმა ვ. ბურავჩენკომ 210 ჰექტარზე ხელის შრომის გამოუყენებლად 400 ტონაზე მეტი მარცვალი მიიღო.

მარცვლეულის უხვი მოსავლის მიღების შედეგად კოლმეურნეობებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის დავალება. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 36.407 ტონისა სახელმწიფოს ჩავაბარეთ 53.754 ტონა მარცვალი, მათ შორის ხორბალი 39.602 ტონა, სიმინდი — 13.539 ტონა და სხვ.

სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის საქმეში თავი ისახელეს ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობამ, რომელმაც სახელმწიფოს მიჰყიდა 6.077 ტონა მარცვალი, წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ — 5.496 ტონა, ზემო ქედის კოლმეურნეობამ — 2.782 ტონა, მაღარაოს კოლმეურნეობამ — 2.161 ტონა, ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ — 1.295 ტონა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სოფელ ჯაშარიძის კოლმეურნეობა. მან თვითეული ჰექტარი ხორბლის ნათესიდან სახელმწიფოს მიჰყიდა 16 ცენტნერი მარცვალი.

სილნაღის საწარმოო სამმართველოს მშრომელთა ეს წარმატებანი თავისთავად როდი მოსულა. ისინი განაპირობა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სამეურნეო საქმიანობასთან გეგმაზომიერმა შეხამებამ, მშრომელთა დარაზმვამ დიდმნიშვნელოვანი საქმის შესასრულებლად. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს საწარმოო სამმართველოს მშრომელთა ავანგარდმა — პარტიულმა ორგანიზაციამ, კომუნისტებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმსა და საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას ჩვენი საწარმოო სამმართველოს მშრომელები დიდი შრომითი აღმავლობით ხვდებიან. მინდვრის მშრომელებმა საფუძველი ჩაუყარეს შვიდწლედის მეექვსე წლის უხვ მოსავალს. საშემოდგომო თესვა დამთავრებულია. სულ მალე დავამთავრებთ მზრალად ხვნასაც. გაზაფხულზე მოლიანად მზრალზე დავთესავთ სიმინდსა და სხვა სათონან კულტურებს. პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებისათვის მთლიანად მზად ვართ. გაცხოველებით მიმდინარეობს ვენახებისა და ხეხილის ბაღების შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები.

ქიმიის დახმარებით, მოწინავე საბჭოთა აგრობიოლოგიის წარმოებაში დანერგვით, შუქურების გამოცდილების ფართოდ გავრცელებით ჩვენი საწარმოო სამმართველოს მშრომელები კვლავაც ისახელებენ თავს შრომაში, საპატიო წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

ს. ხოსროშვილი,
სილნაღის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

გორის საწარმოო სამმართველოში შემავალ კარალეთის საბჭოთა მეურნეობამ სიმინდის უხვი მოსავალი მიიღო. ამ სურათზე სიმინდის ხვავთან არის ბრიგადირი ო. ნანიკაშვილი.
ფოტო შ. კუკულავასი.

„ბილდის „მინდვრის დედოფალი“

შეჯიბრებაში გამარჯვებული

ბილდის გასწვრივ ალაზნისპირა ხოდაბუნებს მხოლოდ სამი მუხა შემორჩა და მაინც „ხშირმუხებს“ ეძახიან იქაურები. 150 ჰექტარიან ნაკვეთში აქ წელს თავი მოიწონა „მინდვრის დედოფალმა“ და კოლმეურნეთა გული გაახარა. 200 ჰექტარი სიმინდი ზეგანისა და ფშანის მინდვრებში ეთესათ. აქაც კარგი მოსავალი მიიღეს. ჰექტარზე ნაცვლად 35 ცენტნერისა 65 ცენტნერი მარცვალი მიიღეს. 85 ჰექტარზე ეთესათ სასილოსე სიმინდი. ჰექტარზე 250 ცენტნერი მწვანე მასა აიღეს და პირუტყვს საკმაოდ მოუმარაგეს მაღალხარისხოვანი საკვები.

ბილდელებმა სიმინდის მაღალი მოსავლიანობით არა მარტო ყვარლის რაიონში, არამედ მთელ რესპუბლიკაში ისახელეს თავი. წელს მათ 705 ტონის ნაცვლად 1.400 ტონა მარცვლეული ჩააბარეს, აქედან 80 პროცენტი სიმინდი იყო.

ვინ არ იცნობს ბილდელ მესიმინდეს **მიხეილ გურაბანიძეს.** იგი ყოველ წელს სიმინდის უხვ მოსავალს იღებს. წელსაც ისახელა თავი. მისმა ბრიგადამ ჰექტარზე 81 ცენტნერი სიმინდი მიიღო. მაგრამ მას მეტოქეები გამოუჩნდნენ, და მერე ვინ? თავისივე მოწაფეები, მიმდევრები. **დურმიშხან იორდანიშვილმა,** რომელიც კოლმეურნეობის კომუნისტების წინამძღოლიც არის, გურაბანიძეს აჯობა სოცშეჯიბრებაში. მისმა ბრიგადამ ჰექტარზე 82 ცენტნერი სიმინდი მიიღო. მიხეილ გურაბანიძეს ეს როდი სწყინს. პირიქით, უხარია, გულით უხარია, რომ მისი მესიმინდეობის სკოლის მოწაფემ მასწავლებელს გაუსწრო.

— ასეა, სკოლაში იმიტომ სწავლობენ, რომ მერე ცხოვრებაში გამოიყენონ. მომავალ წელს ჩემს სკოლაში დურმიშხან იორდანიშვილს მგონი მასწავლებლობა მოუწევს, — ხუმრობა გაშვებით ეუბნება გურაბანიძე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს **დავით ლაფაჩიშვილს.**

გურაბანიძის თითქმის ყველა მიმდევარი წელს შუქურა გახდა. **შალვა ფურულიშვილმა** და **ლონგო გურაბანიძემ** 120-120 ცენტნერი სიმინდი მიიღეს.

— მიხეილს მთლად ვერ დავემდურებით, — ამბობს თავმჯდომარე, — მართალია, დ. იორდანიშვილს ბრიგადამ ერთი ცენტნერით მეტი მოსავალი მიიღო ჰექტარზე, მაგრამ თვით მიხეილ გურაბანიძე „შუქურებს“ შორის მაინც რეკორდმენია — ერთ ჰექტარზე 130 ცენტნერი სიმინდი მიიღო.

ბილდელი მესიმინდეები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. ისინი მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის იბრძვიან. „ხშირმუხებში“, „ზეგანსა“ და „ფშანის“ მინდვრებში მზრალად ხვნა დამთავრეს, წინდაწინ სასუქებიც შეიტანეს. გაზაფხულზე ამ მიწებში სიმინდს დათესავენ. კვლავ გაიხარებს „მინდვრის დედოფალი“ ბილდის მინდვრებზე, კვლავ ისახელებენ ბილდელები თავს მარცვლეულის სიუხვით.

ვ. ვახტანგაძე.

შრომის ბარაქა

ხამისკურელ ბერიკაცებს ადრევე ვიცნობდით, მაგრამ მაინც გვესიამოვნა, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვალიკო კუკავა მათი შრომით კმაყოფილი იყო. საოცარია, მიუხედავად ხანდაზულობისა, თვითეულ მათგანს დღემდე შერჩენია შრომის დაუშრეტელი სიყვარული.

აი სამოცდათვრამეტი წლის ლუკა ქირია. გარეჯას და ლინიში დაუღლელი ვაქაცი, სოფლის ერთი თავკაცთაგანი, რომელსაც მთელი ზუგდიდის საწარმოო სამმართველოში შემავალ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში იცნობენ როგორც კეთილ ადამიანს.

ფალოცველის სოფელში ღილით ადგომას ვერავინ ასწრებს. შრომაში ბადალი არა ჰყავს. ლ. ქირიას ყოველწლიურად სიმინდის უხვი მოსავალი მოჰყავს.

როცა სიმინდის მცენარეს ორისამი ფოთოლი გაკეთებული აქვს, ამ დროს ლ. ქირიას საკოლმეურნეო მინდორში ნახავთ. იგი გულმოდგინედ აწარმოებს სიმინდის ნათესის პირველ კულტივაციას, ხოლო პირველი კულტივაციიდან თხუთმეტი დღის გასვლის შემდეგ მეორედ თოხნას. ამ შემთხვევაში თვითეულ ძირ მცენარეს მიწას ბლომად შემოუყრის. ასეთი მუშაობით ლ. ქირია დარწმუნდა, რომ ამით ძლიერდება მცენარის ფესვები.

ივნისში მესამე თოხნას ასწრებს. შემდეგ კი საჭიროების მიხედვით.

განსაკუთრებით ივლისში, როცა მცენარე მასობრივად იწყებს ყვავილობას, ტაროს განვითარების მდგომარეობის მიხედვით აწვდის საკვებს. ასეთ შემთხვევაში იყენებს ადგილობრივ სასუქს. საერთოდ დამატებით გამოკვებას აწარმოებს 2-3-ჯერ. ყვავილობის პერიოდში, როცა ტაროზე იწყება „ულვაშის“ გამოჩენა, მომართავს ხელოვნურ დამტვერვას.

აი ასეთი მუშაობით ლ. ქირიამ წელსაც მთელი რაიონი ასახელა. ჰექტარზე 90 ცენტნერი სიმინდი! — ეს ლუკა ქირიას მარჯვენით არის მოყვანილი. შვიდწლედის მეექვსე წელს ჰექტარზე 100 ცენტნერი მარცვალი — ასეთია ლუკას გადწყვეტილება.

შ. ჯოჯუა.

მეჩაიეები — მინდვრის მშრომელებს

თქვენი გამარჯვება გვახარებს

შვიდწლედის მეხუთე წელს რესპუბლიკის მეჩაიეებმა საქვეყნოდ გაითქვეს სახელი. მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 186 ათასზე მეტი ტონა „მწვანე ოქრო“. ეს ალაფი შრომა დაუფასდათ მეჩაიეებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება მიიღეს. ამ შეფასებას მთელი რესპუბლიკის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ.

მეორე სასიხარულო ამბავი: რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებმა სასახელოდ შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის დავალება და მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მადლობა დაიმსახურეს.

ეს მემინდვრეთა ბრწყინვალე გამარჯვებაა. მათ ჩვენ, მეჩაიეებს, მხარი გაგვისწორეს, იშრომეს ისე, რომ პარტიისა და მთავრობის მისალმება დაიმსახურეს. გვაძლევს მემინდვრეთა ასეთი მიღწევა.

მხვნელ-მთესველთა მარჯვენა ქების ღირსია. როგორც მეჩაიეთა, ისე მხვნელ-მთესველთა მიღწევები განაპირობა მშობლიური პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის თავდადებულმა შრომამ.

იყო ჩვენი, მეჩაიეების, ზეიმი. ახლა თქვენი ზეიმია, ძვირფასო მემინდვრეებო! დაე მეჩაიეთა და მემინდვრეთა მაგალითი მისაბაძი იყოს საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა მშრომელისათვის. კვლავაც გავაჯაროთ სამშობლო ახალ-ახალ წარმატებებით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვით.

თამარ ყუფუნია, ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, **ტაბიანა ჩხაიძე,** მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი, **ტაბიანა ტაქვაშაია,** ცხაკაიას რაიონის ზანის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი, **ოლია უშვერიძე,** წყალტუბოს რაიონის სოფელ გუმბრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, **ლეილა მაღულარია,** მახარაძის რაიონის ნაგომრის კოლმეურნეობის მეჩაიე.

სიუხვის ჰექტარები

ბევრი შესანიშნავი მესიმინდეა მახარაძის რაიონში, მაგრამ პირველობას მაინც სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი კალისტე ანდღულაძე ინარჩუნებს. მას წლების მანძილზე სიმინდის უხვი მოსავალი მოჰყავს.

— სიმინდის უხვი მოსავლის მისაღებად, — ამბობს კ. ანდღულაძე, — დროულად ვემზადები, საგულდაგულოდ ვარჩევ თესლს, შემოდგომაზე ვხნავ ნიადაგს. თესვას აპრილში ვამთავრებ. არ ვეთანხმები ზოგიერთ აგრონომს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სიმინდის ყანას სამჯერ გათოხნა ყოფნისო. სიმინდი იმდენჯერ უნდა გათოხნა, რომ არცერთი ძირი სარეველა ბალახი არ იყოს ყანაში. მე ხშირად ოთხჯერაც ვთოხნი. ამიტომ ჩემს ყანაში მიღებული სიმინდის მარცვალი უფრო მსხვილია და თითქმის ორ-სამჯერ უფრო მეტს იწონის, ვიდრე ჩვეულებრივი მარცვალი. კარგი მოვლით მივაღწიე იმას, რომ ჩემთვის ჩაბარებულ ნაკვეთში თვითეულ სიმინდის მცენარეს საშუალოდ 3 ტარო აქვს. ამიტომ ვიღებ უხვ მოსავალს.

წელს მესიმინდეებისათვის ცუდი კლიმატური პირობები იყო. მიუხედავად ამისა, ბეჯითმა შრომამ თავისი გაიტანა, ჰექტარზე მიიღეს 117 ცენტნერი მარცვალი.

კ. ანდღულაძის შრომა იმითაც საყურადღებოა, რომ ძიმითში ყველა მესიმინდე მისი გამოცდილების მოწონებულ მეთოდებით მუშაობს. ამიტომ არის, რომ აქაურმა კოლმეურნეებმა წელს თვითეულ ჰექტარზე 38,7 ცენტნერი მარცვალი მიიღეს, სახელმწიფო ვალდებულება პირნათლად მოიხადეს და შრომადღეებზეც საკმაოდ ერკოთ.

— ჩვენი კალისტე კოლმეურნეთა სიამაყეა, — გვეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სევერიან მუხაშავრია, — კოლმეურნეობაში ნაყოფიერად მუშაობს მესიმინდეთა უხვი მოსავლის პრაქტიკული გამოცდილების სკოლა. რომელსაც საკოლმეურნეო შრომის ნოვატორი კალისტე ანდღულაძე ხელმძღვანელობს.

მესიმინდე კ. ანდღულაძე იმისათვის იბრძვის, რომ იმავე ნაკვეთზე 1964 წელს მიიღოს 160 ცენტნერი სიმინდის მარცვალად.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჩვენ ყველანი ვეყრდნობით იმას, რომ მარცვლეულის მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია. მაშასადამე, ზრუნვა მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის პარტიის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

მექანიზატორ იოსებ ჯამალაშვილის წარმატება

მინდვრად ერთი კაციც მებრძოლია

ოღანლელს რომ გასცდები და პირს მარნეულისაკენ იზამ, ყურადღებას მიიპყრობს მთელ ტრასაზე გადაჭიმული ახლადგებული სარწყაო არხი. ადამიანებმა დაიმორჩილეს და თავიანთ სამსახურში ჩააყენეს მდინარე მტკვარი. განხორციელდა თელეთელ მშრომელთა დიდი ნოსტა ოცნება. მათ უკვე აქვთ საკუთარი სარწყაო სისტემა. ადამიანებმა საბოლოოდ გაიმარჯვეს გვალვაზე. მაშასადამე, იქნება მეტი მარცვალი, ხორცი, რძე, მატყლი, სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

მიპყვები ამ არხს და მის მარცხენა და მარჯვენა ნაპირზე გესმის ტრაქტორების გაბმული გუგუნი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის და საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის ამ წინადღეებში სოფლად განსაკუთრებული შრომითი ფუსფუსია. მშრომელები საფუძველს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს.

გარდაბნის რაიონის თელეთის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ბიუროს მდივანმა რ. ჯაველიძემ ერთ-ერთ ტრაქტორისტთან მიგვიყვანა.

— ეს ჩვენი მეურნეობის მოწინავე მექანიზატორია, — გვეუბნება იგი. იოსებ ჯამალაშვილს ჯერ სიტყვაც არ დაუძრავს. მაგრამ ამ საშუალო ტანის კაცში ხედავ დიდ შრომისმოყვარე ადამიანს.

— 1934 წლიდან დღემდე ტრაქტორს ვემსახურები, კარგად ვმართავ კომბაინსაც, — გვეუბნება იოსები. — ოთხი წელი სამამულო ომში გავატარე. დაწყებიდან დამთავრებამდე ფრონტს არ მოვცილებივარ. მოგეხსენებათ, რა ჯაფა ადგას მესანგრეს.

— აბა, ნაღმისაგან გაათავისუფლეთ ტერიტორია, — გვესმის მეთაურის ივანე მოტროშინის განკარგულება.

— აბა დანაღმეთ ტერიტორია და შეაჩერეთ გერმანელთა შემოსევა, — ისმის მეორე განკარგულება.

— აბა დაანგრიეთ ხიდი, შეაფერხეთ გერმანელთა წინსვლა, — არ გვასვენებს მეთაური.

ჩვენი ბრიგადირი შოთა მახნიაშვილიც ასევე მოუსვენარი კაცია.

— აბა ახლა ეს ფართობი მომითავეთ ახლა ეს: ხომ იცით, თუ გვაღვა დაიჭირა ხვნა გაგვიძნელდება... მე მას ხუმრობით გვარდიის ლეიტენანტ მოტროშინს ვეძახი. მაგრამ არ გაემტყუნება. კაცმა რომ თქვას, აქაც ფრონტია. ტრაქტორისტის საქმიანობა მესანგრის საქმიანობას წაგავს. თუ მექანიზატორმა არ გატეხა ყამირი, არ მოხნა და არ დაამუშავა ნიადაგი, რა მოსავალზე შეიძლება ლაპარაკი.

წელს თელეთელმა მშრომელებმა დიდძალი საშემოდგომო ხორბალი დათესეს. მაგრამ მარტო დათესვა საქმეს როდი ველის, საჭიროა ნათესების დამუშავება, მოსავლის უდანაკარგოდ აღება. ყოველივე ამაში გადამწყვეტი სიტყვა იოსებ ჯამალაშვილსა და მის კოლეგებს ეკუთვნით.

— ახლო მომავალში რა სამუშაოების შესრულება მოგიხდებათ, იოსებ? — ვეკითხებით ცნობილ მექანიზატორს.

— სამუშაოს აბა რა დალევს. თუნდაც ნიადაგის ხვნა დეკემბერშიც გაატანს. ამის პარალელურად მომრიგება თესვისწინა კულტივაცია და თვით თესვა.

და განა მარტო იოსებია, ასე რომ შრომობს? მის გვერდით ილეწოან და სახალხო დოვლათს ახავსებენ მექანიზატორები ი. მანაშვილი, შ. ტურაზოვი, ო. კუხაძე და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი სხვა. ჰო და ახლა მათ შეეკითხეთ, ვინ შეასწავლათ მექანიზატორის პროფესია. იმ წუთში იოსებ ჯამალაშვილს დაგისახელებენ. ჯამალაშვილს კი ესახელება და მზად არის ათობით ახალგაზრდას შეასწავლოს მექანიზატორის ეს უტყუარი პროფესია.

და, ბოლოს, იოსებმა არ დაგვამადლა და თავისი ბამოცდილება ორიოდე სიტყვით ასე გამოთქვა:

— განსაკუთრებული საიდუმლოება არაფერი მაქვს. ხანგრძლივმა და დაკვირვებულმა შრომამ ჩემი საქმე შემაყვარა და მისი მცოდნე გამხადა. მთავარი კი მაინც ის არის, რომ გიყვარდეს მექანიზმი, რომელზეც მუშაობ. თუ ტექნგასინჯვის გრაფიკს ზუსტად დაიცავ, აგროტექნიკურ ვადებში ჩაეტევი და დროს უქმად არ დაკარგავ, მუდამ გარანტირებული გექნება წარმატება.

და კიდევ აი რა თქვა იოსებმა:

— საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობა, რომელიც იანვარში გაიმართება, უდიდესი მოვლენა იქნება ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში...

ეს თქვა, დაგვეშვიდობა და თავისი ღიღინი შეუერთა ტრაქტორის გაჯერებულ გუგუნს. აი სწორედ ამაზე იტყვიან, მინდვრად ერთი კაციც მებრძოლიაო.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ბილდის „მინდვრის დედოფალი“

ბილდელ მესიმინდეები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. ისინი მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის იბრძვიან. „ხშირმუხებში“, „ზეგანსა“ და „ფშანის“ მინდვრებში მზრალად ხვნა დამთავრეს, წინდაწინ სასუქებიც შეიტანეს. გაზაფხულზე ამ მიწებში სიმინდს დათესავენ. კვლავ გაიხარებს „მინდვრის დედოფალი“ ბილდის მინდვრებზე, კვლავ ისახელებენ ბილდელები თავს მარცვლეულის სიუხვით.

ვ. ვახტანგაძე.

სიმინდის წარმოება — მაღალ დონეზე

ჩვენს ქვეყანაში დიდი ღონისძიებები ხორციელდება მარცვლეულის წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის, — განაცხადა საუბარში ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს უფროსმა ამხ. დ. ბაღათურიამ. ამ საკითხზე იმსჯელეს საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და ხერხიზული ღონისძიებები დასახეს. ეს ღონისძიებები დიდ მოვალეობას აკისრებს ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა და საწარმოო სამმართველომ შეიმუშავეს მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდების ღონისძიებები. დასამალავი როდია, რომ წლების მანძილზე არ სრულდება მარცვლეულის მოსავლიანობის გეგმები. წელს წინა წლებთან შედარებით რაიონის მესიმინდეებმა უკეთ იმუშავეს და გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

რაიონის მესიმინდეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რაიონმა წარმატებით შეასრულა სახელმწიფოსათვის სიმინდის მიყიდვის დავალება. სახელმწიფოს მიეყიდა 3.008 ტონა სიმინდის მარცვალი ნაცვლად 3.000 ტონისა. ქების ღირსია ჩხოროწყუს ზონის კოლმეურნეობათა უმრავლესობა, რომლებმაც სიმინდის მოსავლიანობის გეგმას დიდად გადაჭარბეს. ამის შედეგად სახელმწიფოს მიჰყიდეს კარგი ხარისხის მარცვალი.

სოფელ ნაფიჩხოვოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში კარგად იშრომეს და უხვი მოსავალიც მიიღეს. მოწინავე მესიმინდეებზე მარტო პრემია-დანამატის სახით ათობით ტონა სიმინდია გაცემული. ნაფიჩხოვოელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 220 ტონაზე მეტი სიმინდი და გეგმა დიდი გადაჭარბებით გაანალდეს. კირცხის XX პარტრილობის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 150 ტონა სიმინდი, ლენინის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ — 148 ტონა, ჩხოროწყუს ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ — 205 ტონა, ფოცხოს — 110 ტონა, კოტიანეთის — 108, ხაბუმის — 115 ტონა.

სიმინდის მოსავლიანობის გადიდება შესაძლებელი გახდა თავდადებული შრომის მეოხებით, აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად განხორციელებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის შედეგად. დიდ წარმატებას მიაღწია ლენინურწუმის კოლმეურნეობის მესაჰე ბრიგადამ, რომელსაც კ. ესარეთია ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დათესა და მოუარა 38 ჰექტარ სიმინდს. ამის შედეგად საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 32 ცენტნერი სიმინდის მარცვალი.

საუბარი ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს უფროსთან ამხ. დ. ბაღათურიასთან

წელს გამოჩნდნენ სიმინდის უხვი მოსავლის მიღების ახალი ოსტატები. მათ შორის ქების ღირსია ნოსირის სახელობის კოლმეურნეობის მეოხებით, აგროტექნიკური ღონისძიებებს ბეგასა და სილნაღელ მხვნელ - მთესველთა მოწოდებას. წლევანდელთან შედარებით 1964 წელს სიმინდის ნათესი ფართობი 700 ჰექტარზე მეტით გადიდდება. სულ მომავალ წელს სამარცვლე სიმინდი დაითესება 7.700 ჰექტარზე მეტი. საშუალოდ ჰექტარზე მიღებული იქნება სულ მცირე 23 ცენტნერი სიმინდის მარცვალი.

პარტიული კომიტეტი და საწარმოო სამმართველო, რაიონის მშრომელები ყველაფერს გაკეთებენ იმისათვის, რომ ამთავითვე მოამზადონ მტკიცე საფუძველი უხვი მოსავლის მიღებისათვის, იბრძოლებენ პარტიისა და მთავრობის დავალების სასახელოდ შესრულებისათვის.

ალანია; მან ორი ჰექტარი დაამუშავა და ჰექტარზე მიიღო 100 ცენტნერი სიმინდი. სოფელ ნაფიჩხოვოს კოლმეურნეობის წევრმა შ. დარასელიამ ჰექტარზე უზრუნველყო 85 ცენტნერის მიღება. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითია დაბა ჩხოროწყუს მასწავლებლის გ. კვირკველიას მუშაობა. მან საუკეთესოდ მოუარა ერთ ჰექტარ სიმინდს და მიიღო 90 ცენტნერი მარცვალი. კოლმეურნეობებში ასეთი მოწინავე მრავალია.

ეს წარმატებები ჩვენი რაიონისათვის სრულიად არ არის საკმარისი. მომავალ წელს უნდა მივაღწიოთ ისეთ გარდატეხას, რომ სიმინდის წარმოება მკვეთრად გადიდდეს. რაიონის მშრომელებმა გადწყვიტეს საქმით უპასუხონ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებსა და სილნაღელ მხვნელ - მთესველთა მოწოდებას. წლევანდელთან შედარებით 1964 წელს სიმინდის ნათესი ფართობი 700 ჰექტარზე მეტით გადიდდება. სულ მომავალ წელს სამარცვლე სიმინდი დაითესება 7.700 ჰექტარზე მეტი. საშუალოდ ჰექტ

აფრიკა თავისუფალი იქნება

დღეს აფრიკის დღეა. იგი ყოველწლიურად ეწყობა პირველ დეკემბერს აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მუდმივი ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის მოწოდებით. მისი საბრძოლო ლოზუნგია: „იმპერიალისტებო, წაეთრიეთ აფრიკიდან“.

საერთაშორისო საზოგადოებრიობის ეს მძლავრი გამოსვლები კოლონიალიზმის წინააღმდეგ სამუმივით ბობოქრობს მთელ დედამიწაზე. იგი ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ როგორ განმტკიცდა ამჟამად კეთილი ნების ყველა ადამიანის სოლიდარობა ჩაგრულ ხალხებთან, თუ რა გადამწყვეტი და გადაუდებელია მოთხოვნა ბოლო მოეღოს კოლონიური მონობის დანაშაულებრივ სისტემას.

და დღეს სისხლითა და ცრემლით განბანილი აფრიკის კონტინენტის უზარმაზარ სივრცეებზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებათა შედეგად ახალი ცხოვრება ჯეჯილივით ღაღანებს. მაგრამ აფრიკის პოლიტიკურ რუკას ჯერ კიდევ აქვს შერჩენილი კოლონიალიზმის შავი ლაქები. თავისუფლებისათვის იბრძვიან ანგოლა, მოზამბიკი, „პორტუგალიის“ გვინეა, როდეზია, ნიასალენდი, ზანზიბარი და სხვ.

აფრიკაში კოლონიალიზმის მზე ჩადის. სავსებით კანონზომიერად თავისუფლების მზე ზენიტს უახლოვდება. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი წარმატებანი აიხსნება აფრიკის ხალხების თვითშეგნების გაძლიერებით, საბჭოთა კავშირში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში მოპოვებულ წარმატებათა უდიდესი ზეგავლენით.

ყოფილი და ახალი კოლონიზატორები ყოველგვარ საშუალებას ეძებენ, რომ რაიმე ახალი ფორმით, მაგრამ ძველი შინაარსით შეინარჩუნონ აფრიკაში თავიანთი ბატონობა. ისინი გაშმაგებით ცდილობენ დაამბრკოლონ აფრიკის ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება, ჩაშალონ აფრიკელთა სოლიდარობა და არ მისცენ მათ საშუალება შექმნან იმპერიალიზმის წინააღმდეგ გაერთიანებული ფრონტი. ცხადია, ისტორია მკაცრი მსაჯულივით იქცევა და მოვლენების განვითარება აფრიკაში იმპერიალისტთა სურვილების საწინააღმდეგოდ ვითარდება.

სულ მალე, ჩვენი თაობის თვალწინ ისტორია ბრალდებულის სკამზე დასვამს უკანასკნელ კოლონიზატორებს. ბრალმდებელთა რიცხვი ალბათ მილიონები იქნება. ისინი ილაპარაკებენ უკვე როგორც თავისუფალნი.

საბჭოთა ადამიანები დღეს ხმამაღლა ამბობენ: გაუმარჯოს აფრიკელ ხალხს!

მხატვარ ი. ბერკოვსკის პლაკატი. საკდესის ფოტოქრონიკა.

ცვლილებანი თეთრ სახლში

ვაშინგტონში პენსილვანია ავენიუს ნომერ 1.600 სახლში ცვლილებებია. ოვალური დარბაზის თაროებიდან და კარადებიდან უკვე გაიტანეს წიგნები და ქაღალდები, რომლებიც ძველ პატრონს ეკუთვნოდა. მათ ადგილზე გაჩნდა სხვა წიგნები და სხვა შენარჩენი მასალები. ზღვის პეიზაჟები და ხომალდების მოდელები, რომლებითაც მორთული იყო დარბაზი და რომლებიც ასე უყვარდა ძველ პატრონს, საწყობში გაიგზავნა. გაქრა ცნობილი სარწეველა — სავარძელი, რომელსაც ფოტოსურათებისა და ტელეგადაცემების მიხედვით იცნობდა მილიონობით ამერიკელი. იქ კი, საიდაც ძველებური, მოჩუჩურთმებული მუხის მაგიდა იდგა, რომელიც განთქმული ფრეგატის „რეზოლუტის“ ფიცრებისაგან იყო გაკეთებული — ინგლისის დედოფლის ვიქტორიას საჩუქარი — გაჩნდა სხვა მაგიდა, უფრო სადა და თანამედროვე.

ნომერ 1.600 სახლში, რომელსაც მთელი მსოფლიო თეთრ სახლად იცნობს, — ახალი პატრონია. ტრაგიკულად დაღუპული ჯონ ფ. კენედის ადგილი დაიკავა მისმა მემკვიდრემ, შეერთებული შტატების 36-ე პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა. ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი არჩევითი პოსტი, სახელმწიფოს, მთავრობის მეთაურისა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოსტი დაიკავა ახალმა ადამიანმა, რომელსაც სხვა გემოვნება, სხვა ხასიათი და სხვა პოლიტიკური ნაცნობობა აქვს. თავისთავად ცხადია, ცვლილება თეთრ სახლში ბევრს აფიქრებს ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში და მის გარეთაც.

როგორ კურსს განახორციელებს მთავრობა ახალი პრეზიდენტის დროს უმთავრეს საშინაოპოლიტიკურ პრობლემების დარგში — სამოქალაქო უფლებების, უმუშევრობის წინააღმდეგ ომინისძიებათა საკითხში, გადასახადების შემცირების კანონ-პროექტის მიმართ? — კითხულობენ ამერიკის გაზეთებისა და რადიოს კომენტატორები, მილიონობით ამერიკელი. როგორ გავლენას მოახდენს კენედის სიკვდილი მომავალი წლის პრეზიდენტის არჩევნებზე? და, უწინარეს ყოვლისა, როგორი იქნება შეერთებული შტატების საგარეოპოლიტიკური კურსი? როგორ განვითარდება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ბედისათვის?

აი რატომ არის, რომ ასე დაძაბულად ადევნებენ თვალყურს ამერიკელები პრეზიდენტ ჯონსონის პირველ ნაბიჯებს ახალ ასპარეზზე, მის განცხადებებს, უცხოელ მოღვაწეებთან შეხვედრებს, ამერიკის მთავრობისა და კონგრესის წევრებთან თათბირებს. პრეზიდენტ ჯონსონის პირველი ნაბიჯები ბევრ მეთვალყურეს საფუძველს აძლევს ივარაუდოს, რომ ახალ პრეზიდენტს განზრახული აქვს გაგრძოს კენედის საგარეოპოლიტიკური კურსი. კმაყოფილებით შეხვდნენ ამერიკელები დეპეშათა გაცვლას ერთი მხრივ ნ. ს. ხრუშჩოვს და ლ. ი. ბრეჟნევსა და მეორე მხრივ ლ. ჯონსონს შორის, რომლებშიც გამოთქმული იყო იმედი, რომ საერთაშორისო სადავო პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტის ძიება კვლავ გაგრძელდება.

ამერიკის გაზეთების შიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ როგორც ადამიანი და პოლიტიკური მოღვაწე ჯონსონი ძლიერ განსხვავდება თავისი წინამორბედისაგან. ორმოცდათხუთმეტი წლის ტეხასელი ითვლება უფრო კონსერვატიული მიმართულების მოღვაწედ, ვიდრე მისი წინამორბედი. წინასწარმეტყველებენ, რომ ჯონსონის დროს შეიცვლება მთავრობის მუშაობის მეთოდები. გაზეთები ვარაუდობენ, რომ გაძლიერდება მინისტრთა კაბინეტის როლი და შემცირდება პრეზიდენტის პირადი მრჩევლების მნიშვნელობა, რომლებიც დაახლოებული იყვნენ კენედისთან და დიდ როლს ასრულებდნენ პოლიტიკის შემუშავებაში.

კენედის სიკვდილმა კარდინალურად შეცვალა ყარჩენო ბრძოლის სურათი, რომელიც სულ უფრო აქტიურად ჩაღდება შეერთებულ შტატებში. პოლიტიკური კომენტატორების პირველი რეაქცია შეიძლება ასე შევაჯამოთ, რომ კენედის მკვლელობამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა რესპუბლიკური პარტიის შანსები, რომლებიც უკანასკნელ დროამდე უმნიშვნელოდ მიაჩნდათ. „ჯონ ფ. კენედის სიკვდილმა, რომელიც ითვლებოდა კანდიდატად დაასახელოს დემოკრატიული პარტიისაგან. მაგრამ ისინი აღნიშნავენ ჯონსონის მნიშვნელოვან ნაკლს კენედისთან შედარებით. დემოკრატიული პარტია ჩვეულებრივ ამომრჩეველთა მეტ ხმას იღებს დიდ ქალაქებში, პროფკავშირების, ეროვნული ჯგუფების, ლიბერალურად განწყობილი ინტელიგენციის წევრებს შორის. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტის აზრით, სამხრეთელ ჯონსონს შეიძლება ზურგი შეაქციონ ლიბერალებმა, რომლებიც მეტისმეტად კონსერვატიულად თვლიან მას, და სამხრეთის შტატების ამომრჩეველებმა, რომლებსაც მეტისმეტად ლიბერალად მიაჩნიათ ჯონსონი. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პირველს.

შეიცვალა რესპუბლიკური პარტიის საგარაუდო კანდიდატების პოტენციური შესაძლებლობათა შეფასებაც. პოლიტიკურ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ კენედის მკვლელობამ ძირი გამოუთხარა კანდიდატობის ისეთი აქტიური პრეტენდენტის შანსებს, როგორიცაა უკიდურესად რეაქციონერი სენატორი ბარი ჰოლდუოტერი. მიმომხილველთა აზრით, ჯონსონი შეძლებს მეტი ხმების მოგროვებას სწორედ იმ რაიონებში, რომელთა იმედიც გოლდუოტერის მომხრეებს ჰქონდათ, — სოფლის რაიონებში, სამხრეთ შტატებში. ასახელებენ რესპუბლიკური პარტიის შესაძლო კანდიდატების გვარებს. კვლავ ალაბარამდნენ ნიქსონზე, რომელიც, ზოგიერთის აზრით, შეძლებს რესპუბლიკელთა მტრული დაჯგუფებების გაერთიანებას. კვლავ იხსენიებენ ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორს მილიარდერ ნელსონ როკფელერს, რომელმაც უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი ეცდება პრეზიდენტობის კანდიდადატად დაასახელონ.

ბევრ კომენტატორს მიაჩნია, რომ შექმნილ პირობებში გამარჯვების შანსი ექნება „კენედის ტიპის“ რესპუბლიკელ კანდიდატს. ერთ-ერთ ასეთ შესაძლებელ კანდიდატად ასახელებენ პენსილვანიის სენატორ �ეტ სკოტს. ეს ადამიანი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ლიბერალურ რესპუბლიკელ სენატორად. ამ ადამიანს ბევრ საკითხზე ერთმანეთისგან ერევა ჯონ ფ. კენედი. ეს ეხება ატომური ენერგიის ბაზრის ფართოებას, ატომური იარაღის გავრცელებას, ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოყენებას, ადამიანის უფლებათა დაცვას, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ვიეტნამის, ლაოსის, კუბის, ბერლინის, ალჟირის, ინდოეთ-ჩინეთის, ინდოეთ-პაკისტანის, ინდონეზიის, ეგვიპტის, ეთიოპიის, ბელგიის, ბრაზილიის, ბოლივიის, ბულგარეთის, ბურმის, ბურუნდის, ბუენოს-აირესის, ბაიკალ-ამურის, ბალტიკის, ბალკანეთის, ბალეარის, ბალტიმორის, ბალტიმორ-ოჰიოს, ბალტიმორ-ოჰიოს-ბენ ბოიდ-ბენ ბოიდ-ბენ ბოიდ



ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ბინების გაგიფიკაცია

ქუთაისი. (საკ. კორ.). მას შემდეგ, რაც ქალაქში დიდი გაზგანმანაწილებელი სადგური ამუშავდა, ფართო მასშტაბით გაიშალა საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი კვების ქსელის გაზიფიკაციის სამუშაოები.

ახლა გაზიფიცირებულია 6.422 ბინა. „ქუთგაზის“ კანტორა მომსახურებას უწევს აგრეთვე წყალტუბოსა და მაიაკოვსკის რაიონებს. ამ დღეებში დაბა მაიაკოვსკში გაიხსნა გაზის სამონტაჟო უბანი.

მარტო მიმდინარე წლის ათ თვეში თხევადი გაზის ქურა დაიდგა ორი ათასამდე ბინაში.

საგამოფენო დარგაზეგში

პირველად რესპუბლიკაში

მწვანე ქსოვილით დაფარულ პატარა მრგვალ მაგიდასთან მიმზიდველი სახის ქალიშვილი ზის და სქელყდიან შთაბეჭდილებათა წიგნში საგულდაგულოდ წერს გამოფენის შესახებ. მას ამხანაგები შემოხვევიან. თვალს ადევნებენ კალმის წვერით დატოვებულ იისფერ კვალს.

გამოფენის დარბაზს დამთვალიერებლები ემატებიან. ირგვლივ კმაყოფილი სახეებია.

მსგავსი გამოფენა ჯერ არ მოწყობილა ჩვენს რესპუბლიკაში. დამთვალიერებელთა სამსჯავროზე პირველად წარსდგნენ რესპუბლიკის ხატვის მასწავლებლები. ეს გამოფენა მათი მომზადებულობის დონის შემოწმებაც არის.

საქართველოს სსრ საშუალო სკოლების ხატვის მასწავლებელთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც თბილისის მასწავლებელთა სახლშია მოწყობილი, თავისი თემატიკით მდიდარი და მრავალფეროვანია. 25 ავტორმა საექსპოზიციოდ წარმოადგინა ასამდე ფერწერული, სკულპტურული, გრაფიკული და გამოყენებითი ხელოვნების — ლითონის, ქსოვილების, ხის მხატვრული დამუშავების ნიმუშები.

ყურადღებას იპყრობს პ. ნეკერიშვილის „ვახტანგ გორგასალი“, ი. ლაღიძის — ფიდელ კასტროს პორტრეტი და ფერწერული ტილო „იალაღებზე“.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს თავისი კომპოზიციური მთლიანობით ვ. ტოხაშვილის მიერ შესრულებული ქანდაკება „სოფლის მეურნეობა და მძიმე ინდუსტრია“, კალმით შესრულებული შემოდგომის ზეიზაჟები და სხვ.

გამოფენაზე მნახველთა მოწონებით სარგებლობს აგრეთვე დ. ჭაბუკიანის, ნ. ერგემლიძის, ი. მიქელაძის, დ. ნავროზაშვილის და სხვათა ნამუშევრები.

გამოფენა 15 დეკემბრამდე გაგრძელდება.

რ. ბასილაშვილი.

ხალხურ მხატვართა გამოფენა

ბათუმი. (საკ. კორ.). ხალხური შემოქმედების საოლქო სახლში გახსნილია აჭარის ასსრ თვითმოქმედი სახვითი და ხალხური გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია 350-ზე მეტი ექსპონატი. ესენია რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში შეკრებილი და აქ გამოფენილი თვითმოქმედი მხატვრების, მოქანდაკეებისა და ხელმარჯვე ოსტატების ნამუშევრები.

ხალხურ მხატვრებსა და ხელმარჯვეებს დიდი სიყვარულით უმუშავნიათ ლენინის უკვდავი სახის სრულყოფილად გამოკვეთისათვის. ლენინისადმი მიძღვნილი ა. ორლოვის სურათი, ა. ვალუისკარის ნახატი, ჟ. კედოს მხატვრული ნაქარგი და სხვ.

კარგია გ. იაკუშევის სურათები „ყვავილები“, „ბარცახანა“, „შემოდგომა“, მ. ფაღავას — „მამაკაცის პორტრეტი“, თ. მიქელაძის აკვარელების სერია და ფიდელ კასტროს პორტრეტი. დამთვალიერებელთა ქება დაიმსახურა პედაგოგ ვ. ბერიძის (ქედა) გრაფიკულმა ნამუშევრებმა. „აჭარელი“, „ცეკვა „განდაგანა“. ყურადღებას იპყრობს ი. სერებრიაკოვის ეტიუდები, ს. პოტაპოვის გემოვნებით შესრულებული ნიღბები და თოჯინები.

ხალხური ნამუშევრების გამოფენა ღია იქნება წლის ბოლომდე და სისტემატურად განახლდება ახალი ექსპონატებით.

სილი — მეროქმელთა სუფრას

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). საწარმოო სამმართველოს მეურნეობებმა 103 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვის წლიური გეგმა. დამზადებულია 2.690 ტონა კურკოვანი და თესლოვანი ხილი. გარდა ამისა, სახელმწიფოს მიეყიდა 184 ტონა გარეული ხილი.

ათასობით ტონა ხილი გაეგზავნათ მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელებს.

საპატიო წოდება

სოხუმი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ განსაკუთრებული დამსახურებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორს, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ბოტანიკის კათედრის გამგეს პროკოფი ევსტახის-ძე რუხაძეს მიანიჭა პროფესორის წოდება — სპეციალობით „ბოტანიკა“.

პ. ე. რუხაძე ოცდაათ წელზე მეტია ნაყოფიერ მუშაობას ეწევა უმაღლესი განათლების, რესპუბლიკის პედაგოგიური და აგრონომიული კადრების მომზადების დარგში. გარდა ამისა, გამოქვეყნებულია მისი ოცდაათამდე სამეცნიერო შრომა, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის მრავალმხრივი დარგებისათვის. მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება გამწვანების სამუშაოები აფხაზეთის საკურორტო ზონაში.

ჩვენი ინტერვიუ

ავტომატიკის დიდი გზები

მოგვითხრობს საერთაშორისო კონგრესის მონაწილე ვახტანგ ჭიჭინაძე.

ატომისა და კიბერნეტიკის, ელექტრონიკისა და ავტომატიკის დარგში მეცნიერული გამოკვლევის ურთიერთგაზიარება, ამ დარგის მეცნიერთა შეხვედრები უმაღლეს დონეზე — თანამედროვე ტექნიკის სწრაფი განვითარებისა და ახალ აღმოჩენათა შემდგომი სრულყოფის საფუძველია, კაცობრიობის ნათელი ხვალინდელი დღის საწინდარია.

ამას წინათ შვეიცარიის ქ. ბაზელში შვეიცარიის ასოციაციისა და მსოფლიო ფედერაციის ინიციატივით გაიმართა ავტომატური მართვის საკითხებისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო კონგრესი. კონგრესის მუშაობაში სხვა ხაბჭოთა მეცნიერებთან ერთად მონაწილეობა მიიღო თბილისის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვახტანგ ჭიჭინაძემ.

ჩვენ ვთხოვეთ მას თავისი აზრი გამოეთქვა ამ კონგრესის მუშაობაზე. მან განაცხადა:

— მეორე საერთაშორისო კონგრესი, რომელიც შვეიცარიაში გაიმართა, დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო მსოფლიოს მეცნიერული აზრის განვითარებაში. კონგრესი მიეძღვნა ავტომატური მართვის საკითხებს და მოხსენებათა დიდი ნაწილი მოიცავდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს: ავტომატური მართვის სისტემების თეორია, ავტომატური მართვის სისტემების გამოყენება, ავტომატური მართვის სისტემების ელემენტები.

კონგრესში მონაწილეობა მიიღო ევროპისა და ამერიკის 30 ქვეყნის 1300-მდე გამოჩენილმა მეცნიერმა. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობისათვის მიწვეული იყვნენ საბჭოთა კავშირის ცნობილი მკვლევარები.

შეხვედრები განსაკუთრებით სასარგებლო იყო იმით, რომ ჩვენ საშუალება მოგვეცა გავცნობოდით ჩვენი საზღვარგარეთელი კოლეგების ახალ მიღწევებს ელექტრონიკის, ავტომატიკის და ტელემექანიკის დარგში. კონგრესის მიმდინარეობის დროს სხვადასხვა სექციებში იმართებოდა კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა ავტომატური მართვის საკითხებზე. ენერგოსისტემების ოპტიმალური მართვის სექციას მე ვხელმძღვანელობდი. სექციების ნაყოფიერმა მუშაობამ კარგი შედეგები მოგვცა და უფრო გააღრმავა ჩვენი მეცნიერული ცოდნის ჰორიზონტი.

კონგრესზე წაკითხულ იქნა 173 მოხსენება. აქედან 30-ზე საბჭოთა კავშირიდან. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე ამერიკელი პროფესორის ჯონ ტრაქსლის მოხსენებამ, რომელიც აწყობად სისტემებს მიეძღვნა. ასევე აღნიშვნის ღირსია ამერიკელი მეცნიერის უოლკოსის ნაშრომი, რომელიც ადმინისტრაციული მართვის პროცესების ანალიზს შეეხებოდა. საბჭოთა კავშირიდან პროფესორ იაკობ ციპკინის გამოსვლამ დისკრეტული სისტემების მართვის პრობლემებზე საერთო აღიარება ჰპოვა და მეცნიერთა ცხარე კამათი გამოიწვია.

— ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის საინტერესო იქნება გვითხრათ, რა მოხსენებები იქნა წაკითხული კონგრესზე საქართველოდან?

— ქართველი მეცნიერები კონგრესზე ორი მოხსენებით წარსდგნენ. საყურადღებოა, რომ ორივე ნაშრომი ჩვენი ინსტიტუტიდან იქნა წარდგენილი. ეს მოხსენებები იყო „ოპტიმალური სისტემა და მისი გამოყენება დამწოლი მექანიზმების მართვის საკითხებში“, რომლის ავტორები არიან ვ. იმედაძე, შ. ცინცაძე და ს. დომონიკი; „თვითშემსწავლელი სისტემების პროცესების დინამიკის შესახებ“, რომლის ავტორიც მე ვიყავი.

მოხსენებებში გაშუქებულმა საკითხებმა მეცნიერთა დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც შედეგად პირად შეხვედრებში გამოძღვანდა.

— რა მნიშვნელობა ჰქონდა მეორე საერთაშორისო კონგრესს?

— კონგრესის მუშაობის დროს განხილულმა დიდმნიშვნელოვანმა პრობლემებმა უთუოდ დიდი ბიძგი მისცეს საერთოდ ავტომატური მართვის სისტემების შემდგომ სრულყოფასა და განვითარებას. კონგრესის ძირითადი დანიშნულება იყო გამოერკვია უმთავრესი მიმართულებები, რომელთა მიხედვითაც ვითარდება ავტომატური მართვის მეცნიერება.

ფედერაციის პრეზიდენტმა შვეიცარიელმა პროფესორმა ედგარ გერეკემ ჩინებულად წარმართა კონგრესის მუშაობა და არჩევნების შედეგად თავისი პოსტი გადაულოცა ინგლისელ მეცნიერს ჯონ კოულსს. გადაწყდა აგრეთვე, რომ მესამე კონგრესი გაიმართოს დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში 1966 წელს.

კონგრესის დამთავრების შემდეგ ხაბჭოთა კავშირის შვედი დელეგატი გავემგზავრეთ დასავლეთ გერმანიაში, სადაც ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა მიგვიწვიეს. ჩვენზე დიდ შთაბეჭდილება მოახდინა მაინის ფრანკფურტის, კარლსრუეს და დიუსელდორფის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა, განსაკუთრებით დიუსელდორფის გამოთვლითმა ცენტრმა. ეს შენობა ქალაქის მომხიბლავ კუთხეში მდებარეობს და დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ესთეტიკური თვალსაზრისით, რაც შეეხება გამოთვლითი ცენტრის მეცნიერულ მნიშვნელობას, იგი ერთ-ერთი უდიდესი ევროპაში და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის მოწყობილი.

კარლსრუეში სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს ხელმძღვანელობს პროფესორი კარლ შტაინბუხი. ეს კვლევითი ობიექტი ინფორმაციის გადაცემის, გადამუშავების დაწესებულებაა და კიბერნეტიკული ხასიათის პრობლემებს იკვლევს.

თუმცა კონგრესი დამთავრდა, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს შორის ღღესაც გრძელდება ნაშრომების გაცვლა-გამოცვლა.

ამჟამად თბილისის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის ლაბორატორიებში გრძელდება დიდი მეცნიერული კვლევა-ძიება, ახალი ხელსაწყოების შექმნა და დაპროექტება. იმედია ქართველი მეცნიერები თავის სიტყვას იტყვიან ავტომატური სისტემების მართვის რთული პრობლემების გადაწყვეტის საქმეში.

* * *

სურათზე: დიუსელდორფის ერთ-ერთი უდიდესი **გამოთვლითი ცენტრი ევროპაში.**

ჩვენი მკითხველები და კორესპონდენტები გვაცუოგინებენ

ადამიანი ლამაზი უნდა იყოს

წიგნით ვაჭრობის მუშაკთა მთავარ ამოცანას შეადგენს წიგნის — პროპაგანდის ამ საუკეთესო საშუალების — მიტანა მშრომელთა ფართო მასებამდე და მათი დარაზმვა ჩვენი პარტიის დიად მიზანდასახულობათა განსახორციელებლად.

საქართველოს წიგნით ვაჭრობის მუშაკებიც მთელი მონდომებით იბრძვიან პროდუქციის რეალიზაციის გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესასრულებლად. ამ მხრივ კარგი თაოსნობა გამოიჩინეს „საქწიგნის“ № 3 მაღაზიის მუშაკებმა. მათ მოწოდებით მიმართეს წიგნით ვაჭრობის ყველა ობიექტს, ყველა მუშაკს — 25 დეკემბრისათვის შეასრულონ წლიური გეგმა.

„საქწიგნის“ მუშაკებმა მოიწონეს ეს შესანიშნავი თაოსნობა, და შედეგებიც თვალსაჩინოა. წლიური გეგმა უკვე შეასრულეს № 2, № 8 და № 30 წიგნის მაღაზიებმა.

ბ. მაზანაშვილი.

გზები მთიებში

ფოტოეტიუდი ბ. დადვაძისა.

დროშა მეომრისათვის წმიდათა წმიდაა

თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში გაიმართა თემატური საღამო „საბრძოლო დროშები მოგვითხრობენ“, რომელიც თბილისის ოფიცერთა სახლის სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებამ და საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის განყოფილებამ მოაწყვეს.

გაისმა მარში და მეომრებმა გამოიტანეს საბჭოთა არმიის ომ ნაწილის საბრძოლო დროშა, რომელიც დიდ სამამულო ომში მონაწილეობდა.

საღამო გახსნა არტილერიის თადარიგის გენერალ-მაიორმა ი. კოვალენკომ. სამხედრო ნაწილის დროშის სახელოვან ისტორიაზე ილაპარაკა სამსახურიდან გადამდგარმა პოლკოვნიკმა გ. ბოლტიანსკიმ. „საბჭოთა პარტიზანების საგმირო საქმეები ბელორუსიის ტყეებში“ — ამ თემაზე ილაპარაკა ბელორუსიაში ბრძოლების მონაწილემ ნ. იაშვილმა.



აბა ვინ არ ოცნებობს იმაზე, რომ რაც შეიძლება ხანგრძლივად იყოს ახალგაზრდა და ლამაზი? მეცნიერებას დღეს აქვს ყველა აუცილებელი საშუალება, რათა ეს ოცნება რეალურ სინამდვილედ აქციოს.

მოსკოვში, გორკის ქუჩაზე მდებარეობს საექიმო კოსმეტიკის ინსტიტუტი ანუ, როგორც მას მოსკოველები ეძახიან, „სილამაზის ინსტიტუტი“. იქ ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ სიბერემ გვიან უწოოს ადამიანს, ებრძვიან მის ადრეულ ნიშნებს. სწორედ ამ ინსტიტუტში ცდილობენ გახადონ ადამიანი უფრო ლამაზი, დაეხმარონ მას ხანგრძლივად შეინარჩუნოს კარგი განწყობილება და ხალისი.

რუსულ კოსმეტიკურ მეცნიერებას თავისი ისტორია აქვს. რუსეთში პირველი კოსმეტიკური დაწესებულება შეიქმნა დაახლოებით სამოცი წლის წინათ. მას შემდეგ ცნობილი გახდა მასაჟის რუსული სკოლა. სპეციალისტების მიერ სახის მოვლის მეთოდები, კერძოდ მასაჟის მეთოდები დამუშავებულია ადამიანის სახის ანატომიის ღრმა ცოდნის საფუძველზე. ტრადიციულად ეს ოსტატობა თაობიდან თაობას გადაეცემა. ამჟამად მასაჟის რუსული სკოლა აღიარებული პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მოსკოვის საექიმო კოსმეტიკის ინსტიტუტი მთელ თავის მუშაობას წარმართავს მკაცრად განსაზღვრულ მეცნიერულ საფუძველზე და კოსმეტოლოგიას ავითარებს როგორც სერიოზულ მეცნიერებას.

— საბჭოთა ექიმი-კოსმეტოლოგები,— თქვა სააგენტო „ახალი ამბების“ კორესპონდენტთან საუბარში ამ ინსტიტუტის დირექტორმა **ანტონინა ახობაძემ,** — კოსმეტიკას განიხილავენ არა როგორც მხოლოდ გარეგნული გალამაზების ხელოვნებას, არამედ როგორც მეცნიერებას კოსმეტიკური ნაკლოვანებათა მკურნალობისა და ნაადრევი მოხუცებულობის თავიდან აცილების მეთოდების შესახებ.

ამიტომ ჩვენი ინსტიტუტი ნამდვილად სამედიცინო დაწესებულებაა; აქ არის ქირურგიული, ფიზიოთერაპიული და სხვა განყოფილებები, ექიმთა შესაბამისი საშტატო ერთეულით. ინსტიტუტში მუშაობენ სპეციალისტი მედიკები, რომელთა შორის ბევრი პროფესორია, მაგალითად, ცნობილი ქირურგი-პლასტიკოსი ვართან არუთინოვი.

ანტონინა ახობაძემ, ინსტიტუტის მუშაობის პრინციპებს რომ ახასიათებდა, ხაზი გაუსვა, რომ ექიმები ყოველგვარ მკურნალობასა და პროფილაქტიკას იყენებენ არა მხოლოდ კანის მიმართ, როგორც ეს ზნირად უცნოთთის კოსმეტიკურ დაწესებულებებში ხდება, არამედ ადამიანის მთელ ორგანიზმზე სასარგებლო მოქმედებისათვის.

მაგალითად, სახის კანის კოსმეტიკურ ნაკლოვანებათა ან თმის განკურნება შეიძლება მხოლოდ კომპლექსურად — არა ცალკეული წამალებით და ნელსაცხებლით, არამედ კვებითი რეჟიმით, აგრეთვე ორგანიზმის სხვა დაავადებათა სერიოზული მკურნალობით.

ინსტიტუტში პაციენტი რა თხოვნითაც უნდა მოვიდეს, აუცილებლად მხედველობაში იქნება მიღებული მისი ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა და მხოლოდ ამის შემდეგ დაენიშნება მკურნალობის კურსი. სწორედ ამაში ხედავენ ექიმები წარმატების საწინდარს.

ამას წინათ ჩვენთან ინსტიტუტში მოვიდა მოსკოვის საფიქრო ფაბრიკის ახალგაზრდა მჭედელი. მას დიდი ხნის მანძილზე აწუხებდა სახის კანის ანთება. ფიზიოთერაპევტების, დერმატოლოგებისა და სხვა სპეციალისტების მიერ ჩატარებული ყოველმხრივი გამოკვლევებით დადგინდა, რომ მისი მკურნალობა მარტო ნელსაცხებლებით არ შეიძლებოდა. ავადმყოფს დაუნიშნეს სხვადასხვა სახის მკურნალობა, რომელსაც, ერთი შეხედვით თითქოს არავითარი კავშირი არ ჰქონდა უშუალოდ ამ დაავადებასთან. მხოლოდ სამედიცინო საშუალებათა ფართო კომპლექსი დაეხმარა ქალს კანის უსიამოვნო დაავადების განკურნებაში.

ერთი 18 წლის ქალიშვილი, მებამჭაშე ინსტიტუტში სახის სერიოზული ტრავმით მოვიდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ სამუდამოდ დამახინჯდა და არასოდეს აღარ იქნებოდა მისი ქორწილი, რომელიც უკვე დანიშნული იყო.

დახელოვნებულმა ექიმებმა ქალიშვილს ბრწყინვალე ოპერაცია გაუკეთეს და სიცოცხლეზე უბრწუნეს. იგი გათხოვდა და ახლა უსაზღვროდ მადლობელია ინსტიტუტისა და მასში მომუშავე ვირტუოზებისა.

საექიმო კოსმეტიკის ქირურგი-პლასტიკოსები თავიანთი რთული და ნატიფი საქმის ჭეშმარიტად დიდი ოსტატები არიან. მათ ხომ უფლება არა აქვთ თუნდაც ერთი მილიმეტრით შეცდნენ. ისინი მუშაობენ, როგორც მოქანდაკენი, მხატვრები. პლასტიკური ოპერაცია, როგორც თვით მედიკები, ამბობენ, ერთად შერწყმული მეცნიერება და ხელოვნებაა.

ინსტიტუტში დაცულია ასობით მადლობის წერილი სიცოცხლის სიხარულის დაბრუნებისათვის, ნორმალური მუშაობისა და სწავლის შესაძლებლობის მინიჭებისათვის. აი დედა მადლობას უძღვნის ინსტიტუტის ექიმებს მისი „ურდულიხტენა“ ქალიშვილის განკურნებისათვის. ახლა ქალიშვილი მორცხვად აღარ იფარებს ხელს სახეზე. მეორე წერილში ახალგაზრდა ვაჟი იწერება, რომ მას აღარ რცხვენია უქუდოდ იარის, რადგან ყურები ძველებურად აღარ აქვს მახინჯად ჩამოკეცილი.

საექიმო კოსმეტიკის მოსკოვის ინსტიტუტის პოპულარობა ყოველწლიურად იზრდება. უკანასკნელ ათ წელიწადში ინსტიტუტის პაციენტთა რაოდენობა ათჯერ და მეტად გაიზარდა. წელიწადში ინსტიტუტში საშუალოდ 240 ათასი კაცი მოდის. მათ შორის ოთხმოცი პროცენტი ქალია.

როდესაც ინსტიტუტს ამერიკელი კოსმეტოლოგები ესტუმრნენ, მათ თქვეს, რომ მოსკოვის კოსმეტიკის ინსტიტუტში ყველაზე რთული ოპერაცია ათჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ამერიკაში. ხოლო ამას წინათ აქ მიიღეს ფრანგი ქალის წერილი პარიზიდან. მას სურს მოსკოვში ჩამოვიდეს და ცხვირის ოპერაცია გაიკეთოს. მისი ანგარიშით მთელი მოგზაურობა მოსკოვში და უკან, აგრეთვე ოპერაცია ბევრად იაფი დაჯდება, ვიდრე მხოლოდ ერთი ოპერაციის გაკეთება თავის სამშობლოში.

კოსმეტიკის ინსტიტუტი იყენებს თავის, სამამულო კოსმეტიკურ საშუალებებს, განსაკუთრებით ნელსაცხებლებს. ინსტიტუტის სამეცნიერო-საკვლევი განყოფილება მუშაობს უფრო ქმედითი სამკურნალო და ჰიგიენური პრეპარატების შექმნაზე და მათ შორის საუკეთესოებს რეკომენდაციას აძლევს საპარფიუმერიო და ფარმაკოლოგიური მრეწველობისათვის. სსრ კავშირში არსებული კანონმდებლობით, ყველა ამ საშუალებას, ვიდრე საბჭოთა ქსელში მოხვდებოდეს და სამედიცინო პრაქტიკაში დაინერგებოდეს, გულდასმით და ყოველმხრივ ამოწმებენ.

მოსკოვის საექიმო კოსმეტიკის ინსტიტუტი ასეთი ტიპის ერთადერთი დაწესებულება როდია. მსგავსი ინსტიტუტია კიევში. ლენინგრადში, ირკუტსკში, კუიბიშევში, სარატოვსა და სხვა ქალაქებში მუშაობენ კოსმეტიკური სამკურნალო დაწესებულებანი.

საბჭოთა კოსმეტოლოგიის ღრმა მეცნიერული საფუძვლები და მოსახლეობის ყველა ფენისათვის ხელმისაწვდომობა მოსკოვის საექიმო კოსმეტიკის ინსტიტუტს კოსმეტოლოგიის ცენტრად ხდის.

ვ. კოზულინი.



სახელოვანი იუბილე

30 დეკემბერს საქართველოს ფიზიკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის დარბაზში გაიმართა საზეიმო საღამო, რომელიც მიეძღვნა ინსტიტუტის 25 წლის იუბილეს. მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ფიზიკულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ, ინსტიტუტის რექტორმა ა. ფალავანდიშვილმა.

იუბილარს მიესალმნენ სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე ბ. მიხაილოვი, საქართველოს სსრ სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თ. მანგაძე, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. მეტრეველი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე შ. რაზმაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორი მ. მირიანაშვილი, ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. ბოჭორიძე და სხვები.

საღამოზე გამოაქვეყნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი ინსტიტუტის მასწავლებელთა ჯგუფისათვის „საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდებათა მინიჭების, აგრეთვე ინსტიტუტის მთელი რიგი მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ. (საქმესი).

დუბლიორთა ცურნირის ფინიში

ჩვენი ქვეყნის საიუბილეო ჩემპიონატის ფინიშთან ერთად ამოიწურა დუბლიორთა საკავშირო ასპარეზობა ფეხბურთში.

ტურნირში გაიმარჯვეს და სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს პრიზი მოიპოვეს კიევის „დინამოს“ დუბლიორებმა, რომლებმაც 55 ქულა შეაგროვეს. მეორე ადგილზე გამოვიდნენ მოსკოვის არმიელები, მესამეზე — თბილისის დინამოელები.

1963 წლის 8 დეკემბერს საღამოს 7 საათზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში (ლენინის ქ., 14) გაიმართება ჟურნალისტთა კრება, მიძღვნილი ჟურნალისტთა III მსოფლიო შეხვედრის შედეგებისადმი.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმი

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

მკითხველის კალმით

□ ზუგდიდის რაიონის ოქტომბრის კულტურის სახლთან ჩამოყალიბებული საესტრადო ბრიგადა, რომელსაც კ. ნიბავა ხელმძღვანელობს, სისტემატურად მართავს კონცერტებს ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საველე ბრიგადებსა და საკოლმეურნეო ფერმებში.

მოსავლის აღების დღეებში საესტრადო ბრიგადამ მრავალი კონცერტი გამართა სოფლებში.

გ. ალფიბაია.

□ საზოგადოება „ცოდნის“ ტყვარჩელის საქალაქო განყოფილებამ კულტურის სასახლეში მოაწყო ზეპირი ჟურნალი — „მინდა ყველაფერი ვიცოდე“.

ლექციები წაიკითხეს: ლექტორმა გ. ჩიტოვმა — საზღვარგარეთის ანალი ამბები, ქირურგმა ვ. ეთერიამ — მედიცინის სიახლენი, საქართველოს დამსახურებულმა მასწავლებელმა ნ. ლაზორინმა — ბავშვთა აღზრდის ზოგიერთი საკითხი, სახალხო მოსამართლე ს. პუდოვმა — როგორ არის მოწყობილი სასამართლო, პროკურატურა, ადვოკატურა.

ჯ. ბარძაია.

□ სწავლა სიბერემდეო, ეს კარგად იციან არბოშიკელმა კოლმეურნეებმა და მონდომებით ეწაფებიან ცოდნას.

ათასკომლიან სოფელში 200-ზე მეტი უმაღლესი განათლების მქონეა. ამჟერად კოლმეურნეობის 35 წევრი დაესწრებოდან იღებს უმაღლეს განათლებას. კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ალადაშვილი, პარტიული კომიტეტის მდივანი შ. ნატროშვილი, მემანდვრეობის ბრიგადირი ბ. ოთარაშვილი, მევენახე დ. სეფიაშვილი, ავტოპარკის დისპეტჩერი დ. ბადაშვილი დაუსწრებელად სწავლობენ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ხოლო მეფორეობის ფერმის მუშაკები მ. ბატიაშვილი, ს. ალადაშვილი და მეძროხე ზ. სეხნიაშვილი — ზოოვეტინსტიტუტში.

გ. კაკალაშვილი.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ი. ჭავჭავაძის პრსპ. № 1)

1963 წლის 25 დეკემბერს დღის 12 საათზე საქტო დარბაზში ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გელა დუმენტის-ძე ბანძელაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მარქსისტული ეთიკის საფუძვლების გამოკვლევის ცდა“.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის კუზეკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

(ი. ჭავჭავაძის პრსპ. № 32).

13 დეკემბრის დღის 2 საათზე პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **რუსუდან მოსეს ასული ლიპარტელიანი** დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„წერითი მუშაობის საკითხები დაწყებით კლასებში (მართლწერის სავარჯიშოთა კრებულითურთ“).**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.



2 დეკემბერი

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული რომანსები, 08.10 — მსოფლიოს ხალხთა სიმღერები, 09.20 — კონცერტი დიმიტრი არაყიშვილის ნაწარმოებებიდან, 11.15 — კამერული მუსიკის კონცერტი, 12.10 — საუბარი — „მშვიდობის ძალები აღემატება ომის ძალებს“, 12.25 — თვითმოქმედი ანსამბლებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონცერტი, 13.40 — რუსული ხალხური სიმღერები, 17.15 — რ. ლაღიძე. სიმფონიური პოემა „სამშობლოსათვის“, 17.35 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 17.10 — ა. ანდრიაშვილის სიმღერები ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის შესრულებით, 18.45 — კ. დებიუსის საფორტეპიანო პიესები, 19.30 — საუბარი — „მინერალური სასუქების წარმოება ახალი ამოცანების დონეზე“, 19.45 — მსუბუქი მუსიკა, 20.15 — „ძალისპირული“, 20.30 — ი. ლისაშვილი. „ნანგრევებზე“ (ნაწყვეტი ახალი რომანიდან), 21.20 — გადაცემა — „საბჭოთა ინსტრუმენტული კონცერტი“ (გადაცემა პირველი), 22.05 — საესტრადო ანსამბლ „ორერას“ კონცერტი, 23.30 — რუსული პოპულარული საობერო მუსიკა.

1 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი — ჩხიკვთა ქორწილი (დღისით), დონ-კიხოტი (საღამოს, მე-2 აბონ. მე-4 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** — მეტეხის ჩრდილში (დღისით 1-ლი აბონ. მე-10 წარმოდგენა, საღამოს მე-17 აბონ. მე-10 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ჭინჭრაქა (დღისით აბონ. გარეშე), **მარჯანიშვილის სახელობის** — „ვახტანგ გორგასალი“, ი. ლაღიძის — ფიდელ კასტროს პორტრეტი და ფერწერული ტილო „იალაღებზე“.



1 დეკემბერი

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.15 — უფროსკლასელთათვის „აფრიკის რუკასთან“, 12.30 — მხატვრული ფილმი „მჭედლის ალამი“, 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისთვის, 18.50 — კინონარკვევი, 19.10 — გადაცემა „აფრიკის დღე“, 19.45 — საერთაშორისო მომოხილვა, 20.05 — კინონარკვევი „ბუნებასთან გამმარტოებთ“, 20.25 — სიმღერები ქართული კინოფილმებიდან, 20.55 — მხატვრული ფილმი „მრავალსახიანი ადამიანი“, 21.35 — საესტრადო კონცერტი „მთითვის, ვინც შინ დარჩა“, 22.30 —